


საქართველო

პროვნიული თავისუფლების ბზით - პიროვნული თავისუფლებისათვის
 პიროვნული თავისუფლების ბზით - პიროვნული თავისუფლებისათვის
 პიროვნული თავისუფლების ბზით - პიროვნული თავისუფლებისათვის

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
 თბილისი, ხუთშაბათი, შაბათი.

№103 (1613)

20-22 ოქტომბერი, 1997 წელი



ინტერვიუ მტერთან

გეორგი გვერდი


როგან გოსირიკა:

დვალისუვილა, სამწუსაროდ, თავი
 მოიკლა, ეს კი არ უნდათ დაიჯერონ.
 უფრო „რეალურია“, რომ იგი მოკლეს...

აი, რატომ დაიწყეს
 დვალისუვილის დაკითხვები

გეორგი გვერდი

გაასამა-
 რთლახან
 თუ არა
 გალახა
 ჯაბას
 და
 სხვებს?



„არც ერთი იყო
 ეგვიპტელი და არც
 გეორგი - ვენესიელი.
 მრჩივე ბედკრული
 საქართველოს
 უვილავი იყვნენ“


გეორგი გვერდი

მე არც იმის
 გამტყუნება
 შემიძლია,
 ვინც
 ქორნი-
 ნებაგდა
 დაუახ-
 ლოვდა
 თავის
 სატრფოს...

გეორგი გვერდი

გეორგი გვერდი

ეს სენსაციაა...



ბანკულ კვირას საბურთალოს სასამართლომ, თამაზ დონჯაშვილის თავმჯდომარეობით, დააკმაყოფილა მოქალაქე კიმ ალიაშვილის სასარჩელო განცხადება „საქართველოს ბანკისადმი“ და შესთავაზა ბანკს, დაზარალებულისთვის 8032000 აშშ დოლარის გადახდა. გეპ-ს კორესპონდენტმა მოსამართლე დონჯაშვილს სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა:

- კიმ ალიაშვილმა, რომელიც 5 წლის წინ კომერციულ ფირმას ხელმძღვანელობდა, 1992 წლის 25 ივნისს „საქართველოს ბანკში“ მისი მას „ბანკისადმი“ ერქვა) გადახდასა და დაავადებულ დაავადებულ 18 მლნ 200 ათასი საბჭოთა მანეთის ოდენობის თანხაზე აღნიშნული თანხა მოსკოვის ფაბრიკა „სვობოდას“ ანგარიშზე უნდა ჩარიცხულიყო, რომელსაც, შეთანხმების საფუძველზე, ალიაშვილის ფირმისთვის პარფიუმერია უნდა გაეგზავნა. ფული ანგარიშიდან ჩამოიწვრა, მაგრამ ფაბრიკის ანგარიშზე 1 წლის და სამი თვის დაგვიანებით აღმოჩნდა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფაბრიკამ „საქართველოს ბანკს“ ავიზოს ასლი მოსთხოვა. მაშინდელი ინფლაციის პირობებში ფაბრიკას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო მოსარჩელესთან შეთანხმების შესრულება - ამ ხნის განმავლობაში ფულმა ფასი დაკარგა. ამიტომ მოქალაქე ალიაშვილმა, მისი მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად,

ბანკს ზარალის ანაზღაურება მოთხოვა. პასუხად ბანკის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ფული დროულად იყო გადაირიცხული ან „მოსბინხუნებანკის“, ან „მოსბინსოცბანკის“ მისამართით. თუმცა ვერაფერი საფოსტო დოკუმენტების წარდგენა ვერ შეძლო. არსებობს დოკუმენტური დამტკიცება მხოლოდ 1993 წლის სექტემბერში განხორციელებული გადაირიცხვისა. მოსარჩელემ დოკუმენტურად დაამტკიცა, რომ 1992 წელს მის მიერ ბანკისთვის გადახდილი 1,2 მლნ საბჭოთა მანეთი ამჟამად პენის, კურსის შეცვლის და ინფლაციის გათვალისწინებით დაახლოებით 8 მლნ დოლარს შეადგენს. ეს სასამართლო ექსპერტიზამაც დაამტკიცა. უკვე აღარაფერი რჩებოდა, გარდა იმისა, რომ დაგვეკმაყოფილებინა, კიმ ალიაშვილის სასარჩელო განცხადება.

- მაგრამ ხომ შეიძლება მომხდარიყო ისიც, რომ „საქართველოს ბანკისთვის“ საფოსტო უწყებას, ბანკ-კონტრაგენტს და სხვა პარტნიორებს ემტყუნათ?

- კი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მოსარჩელემ თავისი ფული სწორედ ამ ბანკს ანდო და კანონიერი უფლება აქვს, აინაზღაუროს ზარალი, ხოლო „საქართველოს ბანკს“ შეუძლია რეგრესის წესით სასამართლოში უჩივლოს იმ ორგანიზაციას, რომელმაც მას უმტყუნა.

- თქვენ მიიღეთ უპრეცედენტო გადაწყვეტილება ამ საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ რამდენად იყენებთ ცნობილი, მოასუსტებ მოგართათ საკასაციო საჩივრით.

- სასამართლო მოქმედებდა კანონთან ზუსტ შესაბამისობაში. მოასუსტებს უფლება აქვს დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს სასამართლოს გადაწყვეტილებას პირველ ინსტანციაზე. 17 ოქტომბერს თბილისის სამოქალაქო სასამართლოში კასაციის განხილვა შედგება.

- „ალიაშვილი - საქართველოს ბანკი“ საქმის განხილვა 21 ოქტომბრამდე გადაიდო, როგორც გეპ-ს კორესპონდენტს თბილისის სამოქალაქო სასამართლოში აცნობეს, კასაციის განხილვის თარიღის გადატანა დაკავშირებულია მოსამართლე მარინა ცისკაძის მონაწილეობასთან სასამართლო რეფორმებთან დაკავშირებით ჩატარებულ კონფერენციაში. (ბპ)

ინტერვიუ გეპ-სთან

სტანილავ კორიანი: ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანება ყველა სამხრეთელი ოსის ოცნებაა

ბეპ-ს კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა ე.წ. სამხრეთ ოსეთის კომუნისტური პარტიის ლიდერს, სტანილავ კორიანს:

- კომუნისტური პარტია დღეს სამხრეთ ოსეთში ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური ძალაა. როგორია პარტიის როლი ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებასა და „დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ მშენებლობაში?

- რა თქმა უნდა, ყოველთვის ძნელია რაღაც ახალის აშენება, მითუმეტეს, ნანგრევებზე. პირველ რიგში სიტყვა „დამოუკიდებელი“ მინდა განვსაზღვრო. ვთქვამ, რომ ქართველები და ოსები „კარგი ცხოვრებისაგან“, ადრე არსებული ძიძვის, მეგობრობისა და უკონფლიქტობისაგან გაუცხდით დამოუკიდებელი. ცხადია, არც კომუნისტების დროს იყო ყველაფერი კარგად. ბევრი პირველი მდივანი ნადირა აღმოჩნდა და მოწინააღმდეგეთა რიგებში გადავიდა. სწორედ ის პირველი მდივანები დღეს დემოკრატებად მოგვევლინა და მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუფუჯოთ. ზოგს ჰგონია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაგვედინებოდა, რითი ვართ ბედნიერი - იმით, რომ ყველაფერზე სმამდლა ყვირის საშუალება მოგვეცა? მაგრამ საქართო სამოქალაქო თავისუფლება განა მხოლოდ სიტყვის თავისუფლებას გულისხმობს? დღეს ჩვენ მარ-

თლაც ანგარიშგასაწვევი ძალა ვართ სამხრეთ ოსეთში. ჩვენმა პარტიამ პირველმა მისცა სმა პანტელეიმონ გიორგაძეს - საქართველოს გაერთიანებული კომუნისტური პარტიის მოსკოვში კომუნისტურ პარტიათა გაერთიანების რიგებში მიღებაზე მოგვიანებით კი მე და გიორგაძემ მივიღეთ ჩვენი გაერთიანების რიგებში აფხაზეთის კომპარტია. მე მუდმივი სტუმარი ვარ საქართველოს კომპარტიის ლენინსძებების და პირიქით. ყველანი ერთად კი (გაერთიანება 22 კომპარტიას ითვლის) მოსკოვში ვიკრიბებით. ჩვენ კრიზისიდან გამოსვლის საკუთარი კონცეფცია გვაქვს და, რა თქმა უნდა, გავაკეთებ იმას, რაც პარტიულ პროგრამაში გვაქვს ჩადებული. მხოლოდ ერთს ვიტყვი, ჩვენი საბრძოლო მიზანი ახალი თანასწორუფლებიანი სამოქალაქო სამხრეთ ოსეთის მშენებლობაა.

- თქვენ თქვით, რომ სამხრეთ ოსეთს ორიენტაცია ჩრდილოეთისკენ აქვს აღებული, უფრო კონკრეტულად რას გულისხმობთ?

- ჩრდილოეთ ოსეთთან გაერთიანება ყველა სამხრეთელი ოსის ოცნებაა და დღეს

ბეპ-ს კორესპონდენტმა გეპ-სთან

ბანკირებმა მოსაგართლეს შუაბიძის

ნის საფინანსო სისტემას, გამოიწვევს სისტემურ კრიზისს არა მარტო საბანკო სისტემაში და ფულად-საკრედიტო სფეროს სრულ პარალიზებას.

საქმე ეხება 1991-92 წლებში საბანკო გადაირიცხვებზე კლიენტის დაავადების შესრულების ვადის დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსაციასთან დაკავშირებულ სასამართლო დავებს.

აღსანიშნავია, რომ ყოფილი სახელმწიფო ბანკების ანგარიშებზე რიცხული ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი სახსრები, ისევე როგორც მოსახლეობის ანაზღაურების შიდა ვალში მიიღო. ძველი ანაზღაურების ინდექსაციისთვის, სახელმწიფომ ჯერ მხოლოდ 5 მილიონის გადახდა შეძლო. ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგებია მოსალოდნელი, ყველამ ერთად რომ უჩივლოს სახელმწიფოს.

რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევას: 1992 წლის ივნისში, კლიენტის დაავადებით, მაშინდელი ბინსოცბანკის ვაკის ფილიალიდან რუსეთის ფედერაციაში გადაირიცხა 1200000 რუბლი. ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული გადაირიცხვის მოქმედი წესი ბანკმა სრულად შეასრულა. წესის თანახმად, ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან თანხის ჩამოწერის

დღიდან, ეროვნული ბანკი თავად აკონტროლებდა უკვე საკუთარი საკორესპონდენტო ანგარიშიდან თანხების შემდგომ ჩამოწერას და მიმღებისთვის ჩარიცხვას. არსებული წესით, საბანკო საკრედიტო ავიზოები კი იგზავნებოდა ჩვეულებრივი ფოსტით. სხვადასხვა მიზეზთა გამო, თანხა რუსეთის ფედერაციაში დაგვიანებით ჩარიცხვა.

ერთი შეხედვით, სრულიად ბუნებრივია სასამართლოს ჰუმანიური გადაწყვეტილება - დაიცვას დაზარალებული მხარის ინტერესები. ვერც შეეძლება, ნებისმიერ შემთხვევაში დაზარალებული დაზარალებულია, თუნდაც ის მკვლეელი ან ყაჩაღი იყოს. მაგრამ, როდესაც საქმე


ეხება ისეთი სპეციფიკური საკითხების განხილვას, როგორც ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიმართ სახელმწიფოს ძველი ვალდებულებებია, უნივერსალური იურიდიული განათლების გარდა, მოსამართლეების ელემენტარული ეკონომიკური განათლებაცაა საჭირო, უკიდურეს შემთხვევაში, კომპეტენტური კონსულტანტის. დანიშნის აუცილებლობა მაინც.

ბანკითა ასოციაცია მიიჩნევს, რომ ოქსიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის კვლევითი ცენტრის დასაყენება, რომელმაც გაიანგარიშა ზარალი და რომლითაც გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებს სასამართლომ, არაკომპეტენტურია, რადგან არც ცენ-

ტრს და არც მის სპეციალისტებს არ გააჩნიათ ეროვნული ბანკის ლიცენზია ასეთი სახის დასკვნების მომზადებაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლე დაუპირისპირდა არა მხოლოდ საქართველოს ბანკს, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას და საბანკო სისტემას. სხვადასხვა გაჩნდა აზრი, რომ ალიაშვილის გარდა 8 მილიონს ბევრი სხვა ელის წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ბანკის წინააღმდეგ ალიაშვილის მიერ განადგობილი კამპანია სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნის წინააღმდეგ გამიზნული ფინანსური დივერსია.

ბანკითა ასოციაცია უახლოეს პერიოდში მასალებს შესასწავლად გადასცემს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას. მოსალოდნელია ასევე საკითხის განხილვა უშიშროების საბჭოზეც (პრამ-ნიუსი)



თქვენს განცხადებაში იკვეთება დანაშაულებრივი ალიანსი: - აბაშიძე-გიორგაძე-ქობაღია, რომლებსაც სახელმწიფო გადატრიალება ჰქონდათ დაგეგმილი 1992 წ. ეს, თქვენი განცხადების მიხედვით ბათუმში და ქობულეთში, „პატია შვილის დაჩაზე“ იგეგმებოდა.

განცხადებებში მოყვანილი ყველა დანარჩენი საკითხი ინფორმაციის დონეზე არსებობს, ეს უკანასკნელი კი იურიდიული დოკუმენტი გახლავთ, ვინაიდან იგი ლოთი ქობაღიას ჩვენებაა და იქიდან არის გადმოწერილი, მე ის კაბა თოფურიამ გამაცნო.

ერთი რამ მაკვირვებს, შოთა კვიციანი და ავთანდილ იოსელიანიც თქვენ მარუსინის აგენტობას გწამებენ, განცხადების და უბრალო ლოგიკის წყალობით კი იკვეთება შემდეგი - მარუსინი გაწველით ინფორმაციას სნაიპერების ჩამოსვლის შესახებ, მარუსინი გაწველით ინფორმაციას ტერაქტის თაობაზე და ამ ამბის დასაზუსტებლად თავის კადრთან, ვახო ბეგია შვილთან გიშვებთ. გამოდის, რომ მარუსინი ყოფილა თქვენი აგენტი და არა პირიქით. აქ უნებურად, მახსენდება ფრაზა ცნობილი ფილმიდან „რეკორდი“ - ვერ ვასწავლე ამ ხალხს პატაკის შეღებვა! თქვენ რას გვეტყობოდა?

ამ განცხადებიდან ბევრი რამ გამოდის. მე დაგიხსნათებთ მარუსინის პიროვნებას, დასკვნების გაკეთება კი თქვენთვის მომინდოვია. იგი იმ პერიოდში რუსეთის იმპერიული ინტერესების განმახორციელებელი იყო ჩვენს რეგიონში და ხელმძღვანელობდა იმ ორგანიზაციას, რომელმაც წაგვართვა აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს ჩამოაშორა აჭარა, მოაწყო 9 აპრილი, 1991-92 წლების სამოქალაქო ომი, საქართველო გახდა პოლიტიკურად და ეკონომიკურად არასტაბილური ქვეყანა და მისი სტაბილურობისათვის ჩვენს ხელისუფლებას სამსკდრო ბაზების განთავსებას სთხოვს საქართველოს ტერიტორიაზე. როგორ ფიქრობთ, ასეთი პიროვნება მე მომაწვედია პირობითი ინფორმაციებს, მით უმეტეს, რომ იგი თავისი ქვეყნის პატრიოტი და მისი ბუნებიდან გამომდინარე ასეთად დარჩება სიკვდილის ბოლომდე?!

რასაც თქვენ ბრძანებით რუსული სამხედრო პოლიტიკის მოქმედების შესახებ ჩვენს რეგიონში, ეს შეკვლასთვის ცნობილია და ამას არც თვითონ მადავენ...

მე ყველაფერი კია ცნობილი და ზედაპირზე დევს, მაგრამ იმას, რასაც რუსეთის საგარეო დაზვერვა კვიციანი, იოსელიანის და

პორსკონდენტი: მართლა იცოდით შევარდნაზე მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ? თქვენი პასუხია: ერთი პიტხარით, ეს ვინ არ იცოდა?



მათხარების მეშვეობით ჩადის საქართველოში, ეს მხოლოდ ვიწრო წრისათვის არის ცნობილი. ა.წ. 18 ოქტომბერს საქართველოს პროკურატურამ დაიწყო ჩემი და უშიშროების სამინისტროს ურთიერთობების გამოძიება, სადაც ზემოხსენებულ საკითხებზე მექნება საუბარი. მანამდე კი არ იქნებოდა ურიგო ურუნადისტებს გეკითხათ შვიციანიასთვის და აიოსელიანისთვის, რატომ არ ვსაარდებთ საქართველოში ეკონომიკა, რატომ გვაქვს ენერჯოკრიზისი, რატომ იხრჩობა ხელფონურად ბიზნესი, რამ მიიყვანა ჩვენი კომერციული ბანკები გაკოტრების პირზე, რატომ იყოფა პარტიები, რატომ გაიხლინა ეკლესია და ა.შ. პირადად ა. იოსელიანს ჰკითხეთ, მისი აფხაზეთის უშიშროების მინისტრად ყოფნის პერიოდში, რატომ არ აღკვეთა ის ფარულად მიმდინარე პროცესები, რამაც საბოლოო ჯამში აფხაზეთი დაგვაკარგვინა, რატომ და დღეს საქართველო უცხოეთის თვალში ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანაა, რატომ, რომ კრედიტები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებისთვის არის გამოხნული, ეფექტს არ იძლევა და კიდევ ვინ იცის, რამდენი რამ, რაც ფაქტურად ამ სამსახურს მოეციხება.

ისე, ბატონო თქვენი, უნდა ვითხრათ, რომ პირადად

მე და ბევრ სხვასაც, ენერჯოკრიზისი თქვენი, „მენავთობეების“ მიერ ხელფონურად შექმნილი მგონია, რათა მოსახლეობამ შეიძინოს ნათ...
- ეს კიდევ ახალი ბრალდება! ღმერთი, რჯული, სხვის უბედურებაზე ჩემი ბედნიერება არასოდეს ამოვიღა. სამწუხაროდ, არიან ისეთი ბიზნესმენები, რომლებიც კონკურენტის მოცილების მიზნით არაფერს ერიდებიან და ხალხს ციხეში ყრიან. რა გასაკვირია, რომ ასეთი რამეც იკადრონ. მაგრამ ეს ძალზე პრიმიტიული ახსნაა ამ პრობლემის. საქმე გაცილებით რთულადაა. იმის მაგივრად, რომ ელექტროენერჯია მიაწოდონ წარმოება-დაწესებულებებს, რაც პირველ რიგში, დაასაქმებს მოსახლეობას და გახდის მას გადახდისუნარიანს, ელექტროენერჯია მიეწოდება გადახდისუნარო მოსახლეობას, ხოლო წარმოებები, ფაქტურად, უფუნქციოდ არიან. ესეც თქვენ, ხელფონურად შექმნილი ენერჯოკრიზისის მარტივი სქემა.

მოდით, ამოვწუროთ პრეზიდენტისათვის მიწერილი განცხადების ტექსტის შინაარსის განმარტება და თუ შეიძლება, ავკისხებით, თქვენი აზრით, საბოლოო ჯამში რა მიზანს ემსახურებოდა იგი?

- ამ განცხადებას რამდენიმე ფუნქცია ეკისრებოდა ერთდროულად. პირველი რიგში, ამ

განცხადებაში პრეზიდენტის საწინააღმდეგო ქმედებებში მოხსენიებულია გურამ მგელაძე და თეოდორ რეუტი, ამიერკავკასიის ჯარების სარდალი, რომლებიც ჩემი დაპატიმრების პერიოდში კონფონტაციაში იყვნენ ელფონურად შევარდნაძესთან. გურამ მგელაძემ თავის დროზე დიდი როლი ითამაშა შოთა კვიციანის კარიერის შექმნაში. მან იგი დააკავშირა რუსეთის საგარეო დაზვერვის ამჟამინდელ დირექტორის მოადგილეს, გენერალ ერინს, რომელმაც, თავის მხრივ, იგი დააკავშირა მისი კარიერის შექმნის მიზნით თავის თანაკურსელს და მეგობარს თ. რეუტს, რომლის მეშვეობითაც იგი ჯერ უშიშროების მინისტრის მოადგილე გახდა ი. ბათიაშვილის დროს, შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და ბოლოს უშიშროების მინისტრი. პოლიტიკურ არენაზე რეუტი-მგელაძის დაპირისპირებამ შევარდნაძესთან, მათი გამოზრდილი „ლეკვის“, კვიციანის ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ. ამ ვითარებაში მან ფარისევლურ ხერხს მიმართა - პრეზიდენტი-სათვის ერთგულების დასამტკიცებლად, იმედოვნებდა რა, რომ ამ დოკუმენტს იგი რეზოლუციას დაადებდა, რითაც იგი საიდუმლო გახდებოდა და დღის სინათლეს ვერ ეღირსებოდა. ამ იმედით „გაწირა“ თავი-

სი მამა და მარჩენლები. ამგვარი მოქმედება კვალიფიციონდება ორმაგ თამაშად. ცნობისათვის: იგივე საფეხურები მგელაძე-ერინი-რეუტი გაიარა თემურ ხაჩიშვილმა თავისი კარიერის შექმნის გზაზე. ამიტომაც არის, რომ შოთა კვიციანის თვის მოხსენებებში თემურ ხაჩიშვილის მოხსენიებას უცხო ქვეყნის აგენტად და არ აკონკრეტებს, კერძოდ, რუსეთის რომელი სპეცსამსახურის აგენტი იყო იგი. მეორე, გაიხსენეთ კვიციანის მიერ მისი შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს ჩატარებული „გასვლითი რაუნდები“ და წაიკითხეთ 1996 წლის 27 აგვისტოს „**Свободная Грузия**“ - ში მისი ინტერვიუ, სადაც იგი აცხადებს, რომ მისმა მასწავლებელმა, გენერალმა ერინმა ასწავლა, თუ როგორ და რა საშუალებებით უნდა ტარდებოდა მსგავსი ღონისძიებები, რომელთა ჩატარების შემდეგ მან შექმნა საზოგადოების თვალში წარმოდგენა კრიმინალური სამყაროს დაჩოქებისა. მოდით, ვნახოთ რა ისწავლა დამჯერმა მოსწავლემ თავისი მოძღვარისაგან. იგი მასიურად იჭერდა ამა თუ იმ ორგანიზაციების და სამოუბის წევრებს, გარკვეული დროის განმავლობაში მათ პატიმრობაში ამყოფებდა, სძალავდა ფულს და უმეტეს შემთხვევაში საიდუმლო თანამშრომლობაზე ითანხმებდა მათ და ათავისუფლებდა. ამით ორ კურდღელს იჭერდა - ეკონომიკურ მდგომარეობას „იმეჯობესება“ და, ოპერატიული თვალსაზრისით, ამრავლებდა თავის „სამწყსოს“. ანალოგიური ხმაურით და ეიფორიით იჭერდა იგი განურჩევლად 29 აგვისტოს ტერაქტის ნამდვილ და სავარაუდო მონაწილეებს. მათ რიგში მეც აღმოვჩნდი ტერაქტიდან ერთი წლის შემდეგ უფული ვერ გამოძახა, სამაგიეროდ, გამოსძალა ჩემს პარტნიორებს და ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ მისი მასწავლებლის მეთოდის მეორე ნაწილი გამოეყენებინა და დავეთანხმებინე საიდუმლო თანამშრომლობაზე.

მესამე უსაქურად დარჩენილმა კვიციანმა მოინდომა საქართველოში ახალი პოლიტიკური ტალღის აგობა, საკუთარი იმიჯის შესაქმნელად. აპირებდა რა 37-იანი წლების ვარაზტის გათამაშებას, მოსურვა ხალხისა და პრეზიდენტის „მტრების“ გამოფენა. მისი ვერსიით ასლან აბაშიძეს ბრალდებოდა ი. გიორგაძესთან და ლოთი ქობაღიასთან ერთად სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა, ვახტანგ გოგუაძეს, ელდარ გოგოლაძეს 29 აგვისტოს ტერაქტში მონაწილეობა, პირადად მისთვის არასასურველ პიროვნებას - თამაზ კვაჭანტირაძეს კი (რადგან დავით ზეიკიძის მეგობარი ყოფილა) მექრთამეობაში ეღებოდა ბრალი.

უსაშუბრა
ქეთევან ჯაყელი

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №101,102.

„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მსხვერპლად ეწირება საკუთარი სავარკლავის დაკარგვის შიშს“

„იფრინდა“-ს კორესპონდენტის ცნობით, როგორც შაბათს დევენდ-თა ყრილობაზე სიტყვით გამოხატულ-მა საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი“-ს წევრმა ბაკაუბაევმა განაცხადა, დევენდთა პირველ ყრილობაზე მიღებული რეზოლუციის 15 პუნქტიდან ქვეყნის ხელისუფლების მიერ არც ერთი არ შესრულებულა. „მოვითხოვთ დადგეს საკითხი საქართველოს ტერიტორიული რუსეთის ჯარების გაყვანის თაობაზე. თუმცა, ჩვენს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველო რუსეთის სამხედრო ბაზების საყრდენი გახდეს“ - აღნიშნა ბაკაუბაევმა.

„მე მაღლობელი ვარ ქვეყნის ხელისუფლების ქუჩებში პოლიციის გამოყენებისათვის, პოლიცია ჩვენსავე მშვიდობის და შეიძლება კიდევაც შემოგვიტოვონ. ხელისუფლება გვატყუებს, როცა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით დიდი რაოდენობის დაკარგვის შიშს“ - განაცხადა ფრაქცია „აფხაზეთი“-ს ლიდერმა გერმანულ ფაქციამ თავის გამოსვლაში.

კონფერენციაზე სიტყვით გამოხატულმა აფხაზეთის არ ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელმა, არ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე სერგეი ივანოვიმ აღნიშნა, რომ კონფერენციაზე დევენდთა მთავარ საკითხად კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამხედრო ძალების ყოფნის მიზანშეწონილობა უნდა დააყენონ, ასევე საჭიროა დაევიწყონ დევენდთა პოზიცია არმინბას სეპარატისტული რეჟიმის მიმართ, მკაცრი ეკონომიკური სანქციების განხორციელებისათვის დაკავშირებით.

„სახალხო ფრაქციის“-ს ლიდერმა მამუკა გიორგაძემ მაღლობა

გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს მოწვევისათვის და განაცხადა, რომ აფხაზეთის პრობლემა მთელი საქართველოს პრობლემაა. ჩვენი უმთავრესი ამოცანა არა მხოლოდ დევენდთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნებაა, არამედ საქართველოს ორისდიქციის მის მთელ ტერიტორიაზე აღდგენა“.


კონფერენციაზე წაიკითხეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ფართომასშტაბიანი დარეგულირების ოქმი, რომლის მიხედვითაც იარაღის საშუალებით მხარეებმა სისხლისღერას არ უნდა მიმართონ, უნდა იცხოვრონ ერთიან სახელმწიფოში, თითოეულმა საკუთარი კონსტიტუციით რაც შეეხება ფუნქციონირებას - აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმოქცევაში უნდა იყოს რუსული რუბლი, ქართული მხარე პასუხისმგებელი უნდა იყოს აფხაზეთის ტერიტორიაზე პარტიზანულ და დივერსიულ მოქმედებებზე.

დევენდთა კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც გადაწყდა 1. დევენდთა ყრილობა ჩატარდეს 10-11 ნოემბერს; 2. ყრილობამ შეიმუშაოს დევენდთა სოციალური დაცვის, ხელისუფლების მიერ დევენდთაში მიქცეული მორალურ-ფსიქოლოგიური და მატერიალური ზარალის ანაზღაურების ღონისძიებები; 3. სამხედრო ძალების მანდატის გაგრძელების შემთხვევაში, ყრილობამ დააყენოს ხელისუფლებისადმი უნდობლობის საკითხი და შეიმუშაოს ლტოლვილთა და დევენდთა ფიზიკური გადარჩენის, ოკუპირებული ტერიტორიებისა და დევენდთაში დაკავშირებული ყველა სხვა პროცესების მართვის მექანიზმი; 4. ყრილობის მომზადება დაეწყო აფხაზეთიდან და შიდა ქართლიდან დევენდთაში პოლიტიკურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭოს. (იფრინდა)

საქართველოს მთლიანობის დაცვის მიზნით

კონსტანტინე გამსახურდიას სხოვრება და მოღვაწეობა

ნოდარ ბრიგადაშილი



კონსტანტინე გამსახურდიას მწერალთა კავშირის პრეზიდენტიდან გამოყვანა

პირველ სიტყვასა ზედა მოვიდეთ. მწერლის წარსულზე თხრობა იქიდან დაიწყეთ, პრეზიდენტი უნდა იყოს სხდომაზე ცეკადან მოვლენილი ახალგაზრდამ რომ შესვენება გამოაცხადა.

ზის ცხოვრებისაგან დასაწყისიდან, ამდენ ჯარდაცა და ფათურაკებს გადარჩენილი მწერალი და მწარე ფიქრებში წასული იხსენებს რომანოვების სურათების ჩამოგლეჯას ქუთაისის სათაგან-დაზნაურო გიმნაზიის კედლებიდან, მსოფლიო ომის დროს გრაუნშტანის საკონცენტრაციო ბანაკს, ჩეკას ჯურ-ღმულებს, ბუტირკის ციხეს, ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სუსსს, 10 წლის წინათ დახურულ თანამოკალმეებს. ეგონა, ყველაფერმა ჩაიარა.

ბელადის ცხოვრებაზე მხატვრული მატანის დაწყებამ სიცოცხლე შეუნარუნა. ბერიამაც წყალობის თვალთ გადასახედა. კრიტიკოსებმა კორტეს, მაგრამ ბოლოს მაინც აღიარეს. სამი წლის წინ, 1944-ში, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად იქნა არჩეული. იმავე წელს „დავით აღმაშენებლის“ I და II წიგნი-სათვის სსრკ-ს უმაღლესი ჯილდო - სტალინური პრემია მისცეს.

უკვე გამოცემული აქვს თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, რომელთა დაწერას კი არა, უშეცდომოდ გადაწერას ვერ მოახერხებს ცეკადან მოვლენილი ის პასუხისმგებელი ახალგაზრდა, რომელმაც სხდომის განახლებისთანავე დასტყვა:

დასწავის ობ. „საქართველო“ №98-102

„თქვენმა განცხადებამ არ დაგაკმაყოფილა, ეგ მონანიება სულაც არ არის. თქვენ სტალინური ეპოქის რომანოვებისა შეადარეთ, მერე და როგორ? თქვენ ამხანაგი ფაქციევი გალანდეთ. ეგ მონანიება არ არის, ვის იგდებთ თქვენ, ამხანაგო, ვის?“

„ვის, ვის იგდებთო, - ხმა შეუწყვეს პრეზიდენტის წევრებმა, ადრე პროლეტკულტელებმა, „ვასილკოუსკელებმა“, ახლა მწერლების უფროსებმა...“

„ვინანიებ, ვინანიებ ამხანაგებო, თუ საშუალებას მომცემთ, გამოვსწორდები, რომანოვების ეპოქა რა სახსენებელია, ფაქციევი ჩვენი ძვირფასი ამხანაგია, ვინანიებ, გულწრფელად ვინანიებო, - ყბა აუკანკადაო. ასე, სწორედ ასეა დაფიქსირებული 1947 წლის 10 სექტემბრის სტენოგრაფიულ ჩანაწერში.“

გაიელის სულ რაღაც 10 წელი და იგივე ხალხი ალაპარაკდება სტალინური ეპოქის კომმარზე. გაიელის სულ რაღაც 12 წელი და ფაქციევი, ეს რა სისტემის ემსახურეო, შუბლში იგლეჯს ტყვიას...“

მაგრამ ჯერ ისევ 1947 წელია და, როცა კონსტანტინეს გამოუცხადეს: გადაწყვეტილი მწერალთა კავშირის პრეზიდენტიდან გამოვიყვანოთო, - სხარულს ვერ მალავდა, ისე მიიჩქაროდა სახლისაკენ, ამაზედაც გმადლობ, უფალო, ამაზედაც გმადლობო. ხომ შეეძლოთ „დიდი ციხიდან“ კიდევ ერთხელ...“

მიიჩქაროდა და თან ირონიით შეასვენებდა თავს კატებში მოხვედრილი ღომის ბოკერის ამბავს...

ეპილოგის მაგიერ

ამის შემდეგ კიდევ დიდხანს იცოცხლა მწერალი. რაც მთავარია, ეპოქამ

ბოლომდე ვერ გატეხა, ღომის ბოკერი კატად ვერ აქცია. იგი იყო პირველი, რომელმაც, გრიგოლ რობაქიძესთან ცუდი პირადი ურთიერთობის მიუხედავად, როცა ეს სარისკო იყო, მოითხოვა ემიგრანტი მწერლის პიესების სცენაზე აღდგენა.

იგი იბრძოდა გარესების წინააღმდეგ. ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად.

მან აღიმალა ხმა ხრუშჩოვის ანტიქართული პოლიტიკის დასაგმობად. პირადი ტკივილი არ დაჰკლებია. სიბერე შეუღლისა და სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილის სიკვდილია ჩაუშწარა.

არ უღალატია ფიცისთვის, რომლითაც ქუთაისში პირტიველა ბიჭებმა, „ცხრაშუბლებმა“, საფიხიას ეკლესიაზე შეჰფიცეს ერთურთს - საქართველო უნდა გავათავისუფლოთო.

ამ ფიცის აღსრულებას იგი ვერ მოესწრო. ქართული მწერლობის მახეში 1975 წლის 17 ივლისს უკანასკნელ გზაზე გააცვივდა მთელმა ქართველობამ და მწერლისავე ანდერძისამებრ დაკრძალეს საკუთარ ეზოში, აწ იავარქმინილი კოლხური კოშკის ბაღში.

თუმცა ფიცი მამისა ადასრულა მისმა ვაჟმა, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

სამწუხაროდ, კონსტანტინე ამ დღეს ვერ მოესწრო.

საბედნიეროდ, კონსტანტინე გამსახურდია ერთადერთი ვაჟის სიკვდილსაც ვერ მოესწრო. რა იცოდა მამამ, როცა ტყეში გახვეწილი გიორგი პირველის სიკვდილზე ამბობდა - სიკვდილშიაც არ პქონიაო ბედი გიორგი მეფეს, - ამ სიტყვებით საკუთარი შეილის ცხოვრების ეპილოგსაც რომ აღწერდა...

როგან მოსიროს: დვალისკო, სამხრეთი, თავი მოიკლა, ეს კი არ უნდათ დაიჯერონ. უფრო „რეალურია“, რომ იგი მოკლეს...

მეორე მხარე

ბანკი სახელმწიფო პოსტია, იგივე ბანკების სამინისტრო, მისი პრეზიდენტი კი პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც „მიდი-მოლის“.

თუკი ახალი ბანკის პრეზიდენტი იქნება რომელიმე ფინანსური კლანის მიერ „დელეგირებული“ პირი, ეს ძალზე სერიოზული საფრთხე იქნება ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობისთვის. იგი ფაქტურად 7 წელი ხელშეუხებელი იქნება.


თუკი ბანკის პრეზიდენტი იქნება არა მარტო „სპეციალისტი“, როგორც უყვართ ხოლმე გამოთქმა, არამედ პოლიტიკური პასუხისმგებლობით აღჭურვილი პირი, მაშინ პასუხისმგებლობაც უფრო მეტი იქნება და ფინანსური კლანების ზემოქმედებაც ნაკლები.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტი, ისევე როგორც ნებისმიერი მინისტრისა, პირველ რიგში არის პოლიტიკური პოსტი. თუკი მოიძებნება პოლიტიკური ჩვეების მქონე სათანადო ეკონომიკური ცოდნით აღჭურვილი პირი, მაშინ ბანკის პრეზიდენტის შეცვლაში საგანგაშო არაფერი არის დამაფიქრებელია მხოლოდ ის, რომ დღემდე საკადრო პოლიტიკაში დომინირებდა ფული და მეჭვება, რომ ახლა რაიმე გამოხატვისი მოხდეს.

დღემდე იდუმალებითაა მოცული ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის, დემურ დვალისკის მკვლელობისა თუ თვითმკვლელობის ამბავი. არის თუ არა მისი ცხოვრების ასეთი დასასრული დაკავშირებული ე.წ. „კრედიტების საქმესთან“?

ჯერ ერთი, რაც შეეხება მის ტრაგიკულ ბედას.

ჩვენს პოლიტიკურ ელიტას, სამწუხაროდ, მასმედიაშიც და, ალბათ, მთელს საზოგადოებას ახასიათებს პარანორმული აზროვნების საკმაო ნიშნები. ეს, ბუნებრივია, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების მოუწყვეტლობის შედეგია და, ალბათ, დროთა განმავლობაში გაიფლის მოუღებლების ახსნა ხდება გამართლებულად, ცალმხრივად. ხშირად ობიექტური, სიღრმისეული კანონზომიერებების ნაცვლად ახსნას ვეძებთ ავტენტების, მტრების და სხვათა ქმედებაში. ასეთივე ტიპის აზროვნების გამოხატულებაა ის, როდესაც არ გვინდა დავიჯეროთ ელემენტარული სინამდვილე და ახსნას რთულ, დეტალურ ხლართებში ვეძებთ...



დვალისკის, სამწუხაროდ, თავი მოიკლა. ეს კი არ უნდათ დაიჯერონ. უფრო „რეალურია“, რომ იგი მოკლეს. საზოგადოებაში შექმნილი ძალმომრეობითი ატმოსფერო და პოლიტიკური ინტრიგები ასეთ მოსაზრებას ფესვებს უმჯობეს.


რა იყო მისი თვითმკვლელობის მიზეზი?

ზოგად, რა თქმა უნდა, კრედიტები, კონკრეტულ ვითარებაში - ადამიანის ემოციური მდგომარეობა. ის ასევე მილიონობით დოლარის ექვივალენტური სესხები (რეალურად კი, ინფლაციური ფაქტორის გათვალისწინებით - საჩუქარი) გაიცემოდა შერჩევით, პოლიტიკურად თუ სხვა მხრივ გაეღწეოდა პირებზე. დვალისკის არ ემუქრებოდა საფრთხე, მიუხედავად ამ თემის ირგვლივ ამტყდარი სამართლიანი აუთენტისა, სანამ მისი „კლიენტები“ ძლიერად იყვნენ თუმცა ბოლო პერიოდში მოხდა რამდენიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა კერძოდ, სესხები გაცემული აღმოჩნდა იმ ადამიანებზეც, რომლებიც ერთ დროს კი იყვნენ „ხელისუფლების პარტიზანი“, მაგრამ შემდგომ ვითარებათა გამო აღმოჩნდნენ ოპოზიციაში. როგორც კი უმრავლესობის „იმუნტეტი“ ამ პირებს გაუქრათ, დაიწყეს მათი დაკავება (ესეც სერიოზული პრობლემაა დღევანდელი ვითარების - თუკი ხარ სახელისუფლო კლანში, ხელშეუხებლობა გარანტირებული გაქვს). ერთ-ერთი ასეთი სერიოზული ფაქტი აღმოჩნდა დემურად ჯორჯიანიის საქმე მას კრედიტები აღებული მქონდა, როდესაც იმყოფებოდა „უმრავლესობაში“ (საარჩევნო ბლოკი „მშვიდობა“), ხოლო დაბრუნება მოსთხოვეს მაშინ, როდესაც აღმოჩნდა „უმცირესობაში“. აქედან დაიწყო დვალისკის დაკითხვები, რასაც შეიძლება ძალზე უსიამოვნო სკანდალებიც მოჰყოლოდა...

საუბედუროდ, ცოცხალი არაა ადამიანი, რომელიც შეეწირა იმ პიროვნებებს, რომლებმაც კარგად ისარგებლეს მისი ხასიათის სირბილით, ერთის მხრივ, და იმ საბანკო პოლიტიკით, რომელსაც ეროვნული ბანკის მაშინდელი ხელმძღვანელობა ატარებდა. შედეგად კი, არ დასჯილან და ალბათ არც არასოდეს დაისჯებიან ისინი, ვინც ხელი შეუწყო საომარ ვითარებაში მყოფი ქვეყნის დაუსუსლებლად და პირველი ეროვნული ვალუტის (კუპონის) განადგურებას.

საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია ინფორმაციამ, რომელიც 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტში მონაწილე 15 ბრალდებულის მომავალი სასამართლო პროცესისათვის მზადებას შეეხება. ნიშნდობლივია, რომ გულისწყრომა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან უფრო სასამართლო პროცესთან დაკავშირებულ აუიოტაუს შეეხება, ვიდრე გორგოლაჭებზე შემდგარი გალიით ბრალდებულთა გადაადგილების ფაქტს.

შს მინისტრის კთარგამადის თქმით, სასამართლო პროცესი, სადაც არ უნდა ჩატარდეს, იგი იქნება ღია და საჯარო და მასზე დასწრება შეეძლება, როგორც ურნალისტებს, ისე საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს. თუმცაღა, „იფრინდა“-სთან საუბარში მინისტრს არ უარუყვია, მაგრამ არც დაუდასტურებია შსს-ს შენობის ქვედა სართულზე სასამართლო პროცესის ჩატარება.



გასამართლებენ თუ არა გალიაში ჯაბას და სხვებს?

ბის შესაძლებლობა. თუ მეტყვის უზენაესი სასამართლო, პროცესი კულტურის სახლში უნდა ჩატარდეს - ჩატარდება. ვინც პროცესის საჯაროობას შეზღუდავს, მისი პირველი მტერი ვიქნები“ - განუცხადა კთარგამადემ „იფრინდა“-ს. რაც შეეხება საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში, რბერძის აზრს, იგი მიიწვევს, რომ გავრცელებული ინფორმაცია ჭორია და მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

მსჯავრდებულთა და პენიტენციური საკითხების საპარლამენტო კომისიების თავმჯდომარემ ეთვედორაძემ „იფრინდა“-სთან საუბარში განაცხადა, რომ ჭორია ეს თუ სინამდვილე, ამას გარკვევა სჭირდება, მაგრამ თუ უზენაესი სასამართლოსა და შსს-ს განზრახვა სასამართლო პროცესის ჩატარების ადგილისა და ფორმის თაობაზე სინამდვილეა, ამის დაშვება არ შეიძლება, რადგან გალიებით პატიმრების გადაადგილება და მათთან ამგვარი მეთოდებით მოპყრობა არ შეეფერება დემოკრატიის მშენებარე სახელმწიფოს.

ვიდრე ჭორ-მართალი გაირკვევა, ბრალდებულთა ახლობლები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ გორგოლაჭებზე შემდგარი გალიის

შეკვეთა მართლაც გაიცა, რაც მათი აზრით, ემილიანე პუგაჩოვისა და შამილის ისტორიას წააგავს. მათივე თქმით, თუ ყოველივე ეს იმისათვის კეთდება, რომ შემცირდეს ბრალდებულთა გაქცევის ალბათობის პროცენტი, მათთვის ესეც გაუგებარია, რადგან „ვაკის სამოს“ 18 წევრის სასამართლო პროცესი ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩატარდა, ხოლო თუ ხელისუფლება იმ ფაქტით ხელმძღვანელობს, რაც ბორჯომის გახმაურებული საქმის სასამართლო პროცესზე მოხდა (საუბარია მ.სამსონიშვილის უზენაესი სასამართლოს შენობიდან გაქცევაზე), მათი აზრით, ეს ხელეწიურად შექმნილი გაქცევა იყო და სწორედ ამ ფაქტით სურთ გაამართლონ გალიებით შსს-ს შენობის სარდაფში სასამართლო პროცესის ჩატარების აუცილებლობა.

იმავე აზრისანი არიან ჯ. იოსელიანისა და ნ. კვეხერელის საზოგადოებრივი დამცველები გნიკოლაიშვილი და ნ. კაკაბაძე, რომელთაც სჯერათ, რომ ბრალდებულთა დაპატიმრების დღიდან გულმოდგინედ იქმნებოდა მათი „მტრის ხატისა“ და „საშიში ხალხის“ იმიჯი. მათი აზრით, არცერთი ბრალდებული არსად არ არის გამქცევი. რის დასტურადაც მოჰყავთ რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ შექმნეს ბრალდებულებს ხელეწიურად გაქცევის საშუალება და საიდუსტრაციოდ

ნ. კვეხერელისათვის გასაღებების ასხმის დაღების ფაქტი მოჰყავთ.

გარდა მწვავე რეაქციისა, ბრალდებულთა ახლობლები მოითხოვენ, რომ სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს თხუთმეტივე ბრალდებული №1-ე იზოლატორიდან №1 იზოლატორში იქნენ გადაყვანილი. ამ მოთხოვნას ისინი იმით ასაბუთებენ, რომ ბრალდებულთა წინააღმდეგ „შეთითხილი“ საქმის უმრავლესი ნაწილი არ დაემთხვევა სასამართლოზე. მიცემულ ჩვენებებს, რის გამოც, №1-ე იზოლატორში დაბრუნებულ ბრალდებულებს სცემენ, საზოგადოებას კი, განუცხადებენ, თითქოს სასამართლო პროცესი რომელიმე მათგანის ავადმყოფობის გამო გადაიდო. მათი აზრით, №1 იზოლატორი ამ მხრივ №1-საგან განსხვავებით, ნაკლებად საშიშია.

ასეა თუ ისე, 29 აგვისტოს გახმაურებული ტერაქტის საქმისა და მომავალი სასამართლო პროცესის ირგვლივ ატეხილი ხმაური იმ დიდი უნდობლობის ნაწილია, რაც დღემდე გააჩნიათ სამართალდამცავ ორგანოებს ბრალდებულთა და მთლიანად საზოგადოებრიობის მიმართ და მეორეს მხრივ, შედეგია საზოგადოების უნდობლობისა სასამართლოს, შსს-სა და პროკურატურის მიმართ. (იზორნდა)

